მერი სილაგაძე

ფსიქოლოგიის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

კოჩის უნივერსიტეტი, თურქეთი

საზღვარგარეთ განათლების მიღების გამოცდილება ბავშვობიდანვე იყო ჩემი დიდი ოცნება, რომელიც ნელ-ნელა მიზნად იქცა და საბოლოოდ მის განხორციელებაში Erasmus+ და კავკასიის უნივერსიტეტი დამეხმარა.

2026 წლის გაზაფხულის სემესტრი სტამბოლში, თურქეთის წამყვან უნივერსიტეტში (Koç University) გავატარე. ქალაქში, რომელსაც თავისი უნიკალური, განსხვავებული სული აქვს, ქუჩის თითოეულ კუთხეში გრძნობ მის ისტორიას, საუკუნოვან ტრადიციებსა და თანამედროვე მულტიკულტურულ ენერგიას, რომელიც დამახასიათებელი რიტმის ნაწილად გაქცევს. თავიდან ყველაფერი უცხო და დამაბნეველია, სრულიად ახალ სახეებს ხედავ, ხვდები რაოდენ დიდია სხვაობა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებს შორის, თუმცა არსებული საზღვრები მალევე იშლება და ვერც კი ხვდები როგორ ხდება მანამდე სრულიად უცხო შენი მეორე, უძვირფასესი ოჯახი. ბედნიერებაა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან გყავდეს მეგობრები, მათთან ერთად განვითარდე, იმოგზაურო, ეს ყველაფერი დააფასო და გულის სიღრმეში უსაზღვრო მადლიერება იგრძნო.

კოჩის უნივერსიტეტში მიღებულმა გამოცდილებამ თვალნათლივ დამანახა, თუ რას ნიშნავს საქმისადმი ნამდვილი სიყვარული და ერთგულება. უცხოელ პროფესორებთან და მკვლევრებთან მუშაობა, რომლებიც უახლეს სამეცნიერო პროექტებს უძღვებოდნენ, უდიდესი ინსპირაციის წყარო გახდა. მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოწვეულ კოლეგებთან შეხვედრა დამეხმარა გავცნობოდი სწავლების განსხვავებულ მეთოდოლოგიასა და ინტერდისციპლინურ მიდგომებს, რამაც სრულიად ახალ საკითხებზე დამაწყებინა ფიქრი. ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო იმის კვლევა, თუ როგორ ერწყმის ფსიქოლოგია ტექნოლოგიებს და რა მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მას რობოტების შექმნასა და ადამიანურ-ტექნოლოგიურ ურთიერთქმედებაში.

ბუნებრივია, ახალ სასწავლო გარემოში მოხვედრა უამრავ გამოწვევასთანაა დაკავშირებული, თუმცა სწორედ ამ დაბრკოლებების გადალახვისას ეცნობი საკუთარ თავს უკეთ და აცნობიერებ, როგორ ყალიბდები საკუთარი თავის უკეთეს, მეტად თავდაჯერებულ ვერსიად. ხვდები, რომ საკუთარი ოცნებებისთვის ბრძოლა ყოველთვის ღირს, ბევრად უკეთესია გარისკო, ვიდრე მომავალში ინანო, რომ არ სცადე.